

# ბიულეტენი


№ 43  
2000  
სექტემბერი

საქართველოს  
სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი



იკვლავა მშვიდობისათვის  
მშვიდობა იკვლავის გზით -  
საერთაშორისო მეთანიზმები

ნატო-ს მიერ იზრუნავიის წინააღმდეგ  
სამხედრო ძალის გამოყენების  
საერთაშორისო-სამართლებრივი  
ასპექტები



**FRIEDRICH  
EBERT  
STIFTUNG**

C 01 - 01535

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა  
და განვითარების ცენტრი**

**Internationale Mechanismen für Friedenssicherung. Internationalrechtliche  
Aspekte der NATO-Aktionen in Jugoslawien**

**Auflage:** 1200  
**Verfasser:** Zentrum für strategische Forschungen und Entwicklung Georgiens  
**Seitenzahl:** 32  
**Sprache:** Georgisch  
**Originaltitel:** 'Idsuleba mschwidobisatvis. saertaschoriso mekanismebi. Natos  
mier iugoslaviis zinaagmdeg samchedro dsalis gamokenebis  
saertaschoriso-samartlebrivi aspektebi'

რამაზ აფციაური

**იძულება მშვიდობისათვის  
მშვიდობა იძულების გზით - საერთაშორისო მექანიზმები..... 3**

გაბა გაბრიჩიძე

**ნატო-ს მიერ იუგოსლავიის წინააღმდეგ სამხედრო ქალის გამოყენების  
საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები..... 21**



# იქალაქა მშვიდობისთვის მშვიდობა იქალაქის გარეთ - საბრძოლველი მშვიდობისთვის

■ რამაზ აფციაური

*„დიპლომატიის მეშვეობით ბევრი რამის  
გაკეთება შესაძლებელია, მაგრამ რასაკვირველია  
კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეიძლება  
დიპლომატიით, რომელსაც სამართლიანობა და  
ძალა უმაჯრებს ზურგს.“\**

I ნაწილი  
სახზობა(ფორმირი) დისკუსი -  
მშვიდობის იქალაქით დაწყარების  
მშანისში და საბარტმელო

დღეს თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში ბევრს საუბრობენ იძულებით მშვიდობის დამყარების საერთაშორისო მექანიზმზე, რომელიც გაერო-ს ქარტიის მეშვიდე თავს ეფუძნება და ერთადერთი ლეგალური ინსტრუმენტია მსოფლიო თანამეგობრობაში, რომელიც მშვიდობის აღსადგენად ძალის გამოყენებაზე ნებართვას გასცემს. მიუხედავად მრავალი მტკიცებისა ნაკლებად არის გაცნობიერებული თუ რა წინაპირობებთან და გარემოებებთან არის დაკავშირებული იძულებითი ღონისძიებების გამოყენება. მოთხოვნა და მტკიცება იმისა, რომ აფხაზეთში მშვიდობის აღსადგენად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აუცილებელია ძალისმიერი იძულება, თავად იძულების მექანიზმების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტების კარგად გაცნობიერების გარეშე საკმაოდ საფუძველს მოკლებული მტკიცებაა. იძულების მექანიზმი საოცრად რთული ბერკეტია რომლის ამუშავებაც პირველ რიგში გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ ნებაზეა დამყარებული. გაერო-ს ქარტია და მისი 7 თავი კონკრეტულად აღწერს წინაპირობებს და მოვლენებს, რომლის არსებობის დროსაც შესაძლებელია განხორციელდეს ძალისმიერი იძულებითი ღონისძიებები. აღნიშნულ ნარკვევში შევეცდები საერთაშორისო პრეცედენტების საფუძველზე განვიხილო მექანიზმის ძირითადი ასპექტები. მისი თეორიული და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, პრაქტიკული მხარე. რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული მოდელი

საქართველოს შემთხვევაშიც იყოს გამოყენებული და რამდენად შეთანხმებულია თეორია პრაქტიკასთან.

## იძულებითი ღონისძიებების ცნება საერთაშორისო სისტემაში

ბევრს საუბრობენ მსოფლიო ისტორიაში ომებისა და რეგიონალური კონფლიქტების საუკუნედ შევა. კაცობრიობას არ ახსოვს მსხვერპლისა და საბრძოლო მოქმედებების თვალსაზრისით პერიოდი, რომელიც ჩვენს ეპოქას გაუწევდა კონკურენციას. პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა საერთაშორისო საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა ომის დამლუპველი ზემოქმედება ცივილიზაციაზე. გადაწყვეტილება, რომელიც 1945 წელს მსოფლიოს ორმოცდაათმა სახელმწიფომ მიიღო, კიდევ ერთხელ ასახავდა პროტესტს გამანადგურებელი ომების წინააღმდეგ. შემუშავებული მექანიზმები თითქოს იძლეოდა მშვიდობისა და განვითარების გარანტს. ორგანიზაციის მიზანი გაერო-ს ქარტიის პირველივე ციტატაში ნათლად იყო ჩამოყალიბებული: „რათა გადავარჩინოთ მომავალი თაობები ომის საშინელებას“. 55 წელი გაიდა მას შემდეგ, რაც სან-ფრანცისკოში დამფუძნებელმა კრებამ მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში ნაფიქრი და ნამუშევარი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში პირველ გლობალური გაერთიანების პრეცედენტად აქცია. საფუძველი ჩაუყარა ახალ მსოფლიო სისტემას, რათა აღედგინა განადგურებული ევროპა და საბოლოოდ სიცხადე შეეტანა საერთაშორისო წესრიგში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას უნდა შეემუშავებინა მექანიზმი, რომელიც საერთო იქნებოდა ყოველი წევრი სახელმწიფოსათვის და

\* კოფი ანანი, გაერო-ს გენერალური მდივანი ერთობლივ პრესკონფერენცია ერავის პრემიერ მინისტრის მოადგილე, თარიქ ახსიან, ზაღადი 1998 წლის 23 თებერვალი





თარ შემთხვევაში არ ეხება ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის ინსტიტუტების უფლებებს, იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციის წევრზე მოხდება შეიარაღებული თავდასხმა, მანამ სანამ უშიშროების საბჭოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ მიიღებს შესაბამის ზომებს. თავდაცვის ამ უფლებების განხორციელებისას ორგანიზაციის წევრების მიერ გამოყენებული ზომები გადაუდებლად უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს და არაავიარ უშიშროების საბჭოს და პასუხისმგებლობას ნებისმიერ დროს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და აღდგენის მიზნით აუცილებელ ქმედებათა გამოყენებასთან დაკავშირებით.“

აგრესიის დაფიქსირება რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ არათუ უფლებას აძლევს ამ უკანასკნელს მიმართოს აქტიურ თავდაცვით ზომებს, შეიარაღებული სამხედრო მომადგენების ჩათვლით, არამედ ავალდებულებს კიდევ მას გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება ან საერთაშორისო საზოგადოებას თანადგომისათვის მიმართოს. აგრესიად შეფასების დროს ყოველთვის არსებობს მშვიდობის დარღვევის კონკრეტული დამნაშავე, ანუ აგრესორი.

განვიხილოთ რამოდენიმე შემთხვევა მსოფლიო პრაქტიკიდან: უშიშროების საბჭოს ხშირად მიუცია აგრესიის შეფასება ისრაელის ან საბერძნეთის აგრესიის რესპუბლიკის ხანმოკლე სამხედრო ოპერაციებისათვის. 1985 წლის 4 ოქტომბერს უშიშროების საბჭოს მხრიდან „შეიარაღებულ აგრესიად“ იქნა აღიარებული ისრაელის მიერ ტუნისში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პუნქტების საპატიო დაბომბვა.

უშიშროების საბჭო გაეროს ერთადერთი ორგანო არ არის, რომელიც აგრესიას დეტერმინაციას ახდენს. 1974 წლის 14 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ 3314-ე რეზოლუციით ჩამოაყალიბა აგრესიის განსაზღვრება, რომელმაც უფრო ფართო სახით მოგვცა ფაქტის განმარტება. ამავდროს აღსანიშნავია, რომ უშიშროების საბჭოს დროს სავალდებულო არაა ამა თუ იმ სადავო სიტუაციის შეფასებისა ან აგრესიის განსაზღვრება გენერალური ასამბლეის ხსენებული რეზოლუციით ისარტყებლოს. ამასთანავე, მასზე დაყრდნობა საბჭოს კომპეტენციის ფარგლებშია.

**საერთაშორისო მშვიდობისადმი მუქარა (საფრთხის შექმნა):**

ყველაზე გავრცელებული და თითქმისდა განუსაზღვრელი ცნება, რომელიც 39-ე მუხლის მიერაა გათვალისწინებული, ეს საერთაშორისო მშვიდობისადმი მუქარაა, რისი არსებობის შემთხვევაშიც უშიშროების საბჭოს იძულებითი მექანიზმების მოქმედებაში მოყვანის უფლება აქვდა. აღსანიშნავია, რომ ქარტის VI თავის 34-

37-ე მუხლები თითქმის იდენტურ ცნებას განსაზღვრვენ, კერძოდ ეს არის - საერთაშორისო მშვიდობისათვის და უსაფრთხოებისათვის საფრთხე. ეს თითქმისდა იდენტური ცნებებია, მაგრამ აღსანიშნავია მნიშვნელოვანი განსხვავებები მათ შორის.

ტერმინოლოგიური განმარტებით (treat to the Peace“ (39-ე მუხლი) მშვიდობისათვის მუქარას ნიშნავს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მაშინ ფიქსირდება, როდესაც ის სამხედრო მოქმედებების დაწყებით საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე ნაკივ ვალდებულებას არღვევს, რომელიც ა. ეს შესაძლებელია გაეროს ქარტის ან მისი რომელიმე რეზოლუციის დარღვევა იყოს, რომელსაც მიუერთდა ეს უკანასკნელი და თავისი გადანაცვებით საკუთარ თავზე აიღო მისი შესრულება. ხოლო წინააღმდეგაშ „to endanger the maintenance of international peace“ (VI თავის 34-ე მუხლი) მშვიდობისათვის საფრთხის შექმნა მიიჩნევა, ამის მაგალითი შესაძლოა იყოს საბრძოლო მოქმედებები, რომელიც სამოქალაქო ომის ფარგლებში მიმდინარეობს. ეს ფაქტი თავისთავად საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას, მაგრამ წინა შემთხვევისაგან განსხვავებით არ წარმოადგენს საკმარის არგუმენტს ქარტის 39-ე მუხლის მოქმედებაში მოსაყვანად. შემთხვევა VI თავით განისაზღვრება და აქცენტირებას უფრო შესწავლას და კვლევით ღონისძიებებზე აკეთებს - „უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მოახდინოს ნებისმიერი დავის ან სიტუაციის გამოძიება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო დაძაბულობა ან დაუა, რათა დაადგინოს, რამდენად შეუძლია ამ დავის ან დაძაბულობის გავრცელება დაუშუქროს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას“ (გაეროს ქარტია 34-ე მუხლი VI თავი).

როდესაც ქვეყნის შიგნით ომი ან არეულობა მიმდინარეობს, ეს უთუოდ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას, მაგრამ საერთაშორისო მშვიდობისათვის მუქარის არსებობას არ აფიქსირებს. საფრთხეს საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის განმარტავს ქარტის VI თავი, რომელიც გულისხმობს გაეროს შესაძლებლობებს მექანიზმების შემუშავებისათვის გამოიყენოს შესწავლისა და განაღობების მეთოდები. მუქარა საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის VII თავით, კერძოდ, 39-ე მუხლით რეგულირდება და უშიშროების საბჭოს კომპეტენცია ძალაში მოდის, რაც მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს იძულებითი მექანიზმები მუქარის აღსაკვეთად. საინტერესოა ფაქტი, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ, ზემოთ განხილულის მსგავს შემთხვევებს უშიშროების საბჭო უტყვისწლიად მშვიდობისათვის მუქარის შეფასებას აძლევდა და მოქმედებდა 39-ე მუხლზე დაყრდნობით, რაც შესაძლოა საშუალებას უქმნიდა მას ემოქმედა როგორც ერთადერთ ორგანოს, რომელსაც შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია.

ბრძოლები სომალში უშიშროების საბჭოს მიერ 1992 წლის 23 იანვრის 724-ე რეზოლუციით განხილულ იქნა მშვიდობის მუქარად. უშიშროების საბჭომ განაცხადა, რომ შემოერთებულია კონფლიქტის მხარედი მას შტაბით, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ასევე გამაფრთხილებელი ირგონის ფედერალურ ხელისუფლებასა და ორგანიზაციის დეფარალურ ხელისუფლებასა და ორგანიზაციის დეფარალურ ხელისუფლებასა და სალოგინიას - შორის 1991 წელს განხილულ იქნა მშვიდობისადმი მუქარად.

მშვიდობისადმი მუქარის გამოცხადების საფუძველს შეიძლება სახელმწიფოს შიგნით ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენდეს, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმების ისეთი დარღვევა, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება შეუძლია.

როგორც უკვე აღინიშნა, ზემოთ განხილული სამი საფუძველი საკმარისი არგუმენტია გაეროს ქარტის მოქმედებაში მოყვანისათვის. უშიშროების საბჭოს მხრიდან სიტუაციის შეფასება, როგორც მშვიდობის დარღვევა, აგრესიად ან მშვიდობისადმი მუქარად ქარტის 39-ე მუხლის მოქმედებაში მოყვანას იწვევს, რომელიც თავისთავად 41-42-ე მუხლებში გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას გულისხმობს.

*მუხლი 41-ე - უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს, შეიარაღებული ძალების გამოირიცხოს, რა ზომების გამოყენება შესაძლებელია მისი გადაწყვეტილების განსახორციელებლად და შეუძლია ორგანიზაციის წევრებისაგან მოითხოვოს ამ ზომების გამოყენება. ეს ზომები შესაძლებელია ითვალისწინებდნენ ეკონომიკური ურთიერთობების სრულ ან ნაწილობრივ განწყვეტას, სარკინოგზო, საზღვაო, საჰაერო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო და შეტყობინების სხვა საშუალებების, ასევე დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტას.*

ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები არ მოიცავენ სამხედრო ძალის გამოყენებას. ეს უკანასკნელი მხოლოდ 42-ე მუხლით რეგულირდება. ამასთანავე აქ ჩამოთვლილ ღონისძიებათა სია არ არის სრული იმ გაგებით, რომ უშიშროების საბჭოს შეუძლია განახორციელოს განსხვავებული, ქარტიაში არ ნახსენები ღონისძიებებიც. გენერალური ასამბლეის „მეგობრულ ურთიერთობათა დეკლარაცია“ აყალიბებს პრინციპს, რომლის მიხედვით „ტერიტორიული სუვერენიტი, რომელიც განხორციელდა მუქარის ან ძალის გამოყენებით არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად“. VI თავზე დაყრდნობით, უშიშროების საბჭოს შეუძლია სახელმწიფოს მისცეს ინსტრუქცია არ ცნონ ამგვარი შენაძენი. უშიშროების საბჭომ არაერთხელ მოუწონდა სახელმწიფოს კანონ-

ნიერად არ ცნონ ისრაელის მიერ შემოერთებული ტერიტორიები. როდენიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მან მოუწონდა სახელმწიფოს 1965 წლის 20 ნოემბრის № 217 რეზოლუციით არ ეცნოთ ეს „არაკანონიერი ხელისუფლება“ და არ დაემყარებინათ როდენიასთან დიპლომატიური და/ან სხვა სახის ურთიერთობები. 1990 წლამდე უშიშროების საბჭო ატარებდა ღონისძიებებს 41-ე მუხლზე დაყრდნობით მხოლოდ როდენიასთან მიმართებით. მაგრამ 1990 წელს ერაყის მიერ ქუვეითში შეჭრის შემდეგ, მან საწვდარი ერაყის წინააღმდეგაც შემოიღო: VII თავზე დაყრდნობით - სრული ეკონომიკური ბლოკადა. ამის შემდეგ, 1991 წელს, სრული ემბარგო დაწესდა იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის შეტანაზე იუგოსლავიაში, 1992 წელს სრული ემბარგო იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის შეტანაზე სომალში და ა.შ. 41-ე მუხლის ყველაზე მრავლისმომცველი გამოყენება განხორციელებულ იქნა 1993 წლის 25 მაისის 827-ე რეზოლუციით: დაარსდა იუგოსლავიის სამხედრო ტრიბუნალი.

რაც შეეხება საწვდართა განხორციელებას, ამისათვის გაეროს სპეციალური ორგანოს დაარსება შეუძლია. მაგალითად როდენიასა და სამხ. აფრიკაზე ემბარგოს დაწესების დროს შეიქმნა განსაკუთრებული კომიტეტები.

მთელ რაგ გადანაცვლებებში უშიშროების საბჭო განსაზღვრავს, რომ აგრესიის მსხვერპლი სახელმწიფო კომპენსაციის უფლებით სარგებლობს.

41-ე მუხლზე დაყრდნობით უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა ნევრ სახელმწიფოსათვის მათი გაეროსადმი დაქვემდებარების გამო. არა ნევრ სახელმწიფოებზე ეს შეზღუდვა არ ვრცელდება. ქარტის მე-2 მუხლის თანახმად, ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ის, რომ არა ნევრ სახელმწიფოთა ქვეყნად არ წინააღმდეგებოდეს ქარტიაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. თუმცა, ცოტა გაუჭვდობია, როგორ შეიძლება ამის მოხერხება. არა ნევრ სახელმწიფოების დავალდებულება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების საბჭო დაავალდებულებს ყველა სახელმწიფოს.

ქუვეითის გათავისუფლების შემდეგ, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე ერაყზე მაცერი ზედამხედველობა დაწესდა. ამასთანავე, შეიქმნა ერაყსა და ქუვეითის შორის საზღვრის სადემარკაციო კომისია. [გარდა ამისა, უშიშროების საბჭომ VII თავზე დაყრდნობით, შექმნა ერაყის ნავთობის გაყიდვაზე ზედამხედველობის სისტემა, რომაც ამოიღო კიდევ საკომპენსაციო თანხა.

*მუხლი 42-ე - თუ უშიშროების საბჭო ჩათვლის, რომ 41-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები შესაძლებელია არაადეკვატურია ან*

დაშტკიცდა რომ არაადეკვატური, ის უფლება-მოსილება გამოიყენოს ის საპარო, საზღვაო და სახმელეთო ძალები, რაც საჭირო აღმოჩნდება საერთაშორისო მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან აღსადგინად. ამგვარი ქმედებები შესაძლებელია ითვალისწინებდეს დემონსტრაციები, ბლოკადის და ორგანიზაციის წევრების საპარო, საზღვაო და სახმელეთო ძალების სხვა ოპერაციებს.

რა სახის შედეგები შეიძლება მოყვას უშიშროების საბჭოს რეზოლუციას? რა შეიძლება მიჩნეული იყოს შედეგად საკითხის განხილვისას? უშიშროების საბჭო რეზოლუციაში ავტიორიტეტს რეკომენდაციას და კონკრეტული მითითებებით მიმართავს იძულებით შექანიზმებს, რომელიც ზემოთ მოყვანილ 41-42-ე მუხლებს ეფუძნება.

უშიშროების საბჭოს რეკომენდაციები მწვანე შუქი იძულებითი ღონისძიებებისათვის შესაძლოა სადავო საკითხის განხილვისას დაფიქსირდეს, ნათლად რომ არ ჩანს 39-ე პუნქტზე დაყრდნობილი რეკომენდაცია შეიძლება თუ არა გულისხმობდეს 41-42-ე პუნქტების ამოქმედებას, ანუ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას; ანუ 39-ე პუნქტის საფუძველზე გაკეთებული რეკომენდაცია შეიძლება თუ არა ნევრ სახელმწიფოებს იძულებითი შექანიზმების ამოქმედებისა და სანქციების გამოყენების დაწყების უფლება-მოსილება აძლევდეს. ისტორიული იდეაში აგრეთვე მისი მითითებული სახელმწიფოები და კარგად განსაზღვრული ძალა გააჩნდა და გამართლებული იყო საერთაშორისო სამართლის შესაბამისი მომენტებით.

შესაძლოა დაეფიქსირებოთ გაურკვევლობაც შემდეგ საკითხშიც: სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც მიმართული იყო იძულებითი ზომები, შესაძლოა ჩაეთვალა რომ რეკომენდაცია, რომელიც 39-ე პუნქტს ეყრდნობა არასავალდებულოა და არ გაეთვალისწინებინა იგი, მისი რეკომენდაციული ხასიათიდან გამომდინარე; ან საერთაშორისო სამართლის ნორმებით გაუმართლებლად მიეჩნია იმ ქვეყნების ქმედება, რომლებიც უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე 41-42-ე პუნქტების ფარგლებში ახორციელებდნენ გარკვეულ იძულებითი ზომებს.

საერთაშორისო პრაქტიკა საკითხის შესაფასებლად შესაბამის მაგალითებს იძლევა. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ წინა თავში განხილული შემთხვევა — ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მიმდინარე კონფლიქტი. დახმარება სამხრეთ კორეისათვის ჩრდილოეთის შტეტვის წინააღმდეგ ეფუძნებოდა უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომელიც ქარტიის 39-ე მუხლს ეყრდნობოდა და ხორციელდებოდა გაერო-ს ქარტიისავე 51-ე მუხლის მიხედვით. ცხადია, ამ შემთხვევაში 39-ე მუხლი

ქმედების გასამართლებლად გამოიყენებოდა.

შესაძლებელია ჩაითვალოს რომ უშიშროების საბჭოს მიერ 39-ე მუხლის ბაზაზე მიღებული რეკომენდაცია არის სამართლებრივი ბაზის გამოხატვა გაერო-ს კომპეტენტური ორგანოს მიერ და შეიძლება განიხილოს როგორც ქვეყნებისათვის რეკომენდირებული მოქმედებების ლეგალურობის პრეზუმცია.

საინტერესო მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ უშიშროების საბჭოს 1966 წლის 9 აპრილის 221-ე რეზოლუცია, რომელიც გამოიყენა დიდმა ბრიტანეთმა და შეამოწმა ნავთობის ტანკერები მოზამბიკში საბაბით, რომ ისინი როდენიზისთვის იყო განკუთვნილი. 1971 წლამდე ამ მიზეზით დიდმა ბრიტანეთმა მოზამბიკის სანაპიროზე 50 ტანკერი შეამოსმა.

რამდენად დელეგირებული იყო უშიშროების საბჭოს მხრიდან აღნიშნული ქმედების უფლება? დიდმა ბრიტანეთმა რეზოლუციაში ასახულ რეკომენდაციას ინტერპრტირება ქმედების უფლებად მოახდინა და ჩხრეკა ჩაატარა არა მარტო იმ სახელმწიფოთა გემებზე, რომლებიც არ იყვნენ მიერთებული რეზოლუციას, არამედ მათზეც, ვინც მოახდინა მიერთება რეზოლუციასთან და საკუთარ გემებს აუკრძალა ნავთობ პროდუქტებით ვაჭრობა აღნიშნულ სახელმწიფოებთან. მაგალითისათვის: შემონემებული იყო საბერძნეთის ხომალდი. საბერძნეთი კი წარმოადგენდა ქვეყანას, რომელიც მიერთდა სანქციებს. თუ გაეთვალისწინებთ საზღვაო კანონმდებლობასა და ექსტერიორიკალიურის პრინციპს, რამდენად არის შესაძლებელი საერთაშორისო სამართლის მიხედვით გავამართლოთ დიდი ბრიტანეთის მოქმედება?

**იძულებითი ზომები არანევრი სახელმწიფოებისადმი და სამოქალაქო ომში ჩართული მხარეებისადმი**

გაერო-ს ქარტიის მიხედვით, არ არსებობს არანევრი სახელმწიფოების მიმართ 41-42-ე პუნქტების გამოყენების გამართლება, რადან მათ არა აქვთ ნაკისრი არანაირი ვალდებულება საერთაშორისო საზოგადოების წინაშე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი. მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე, სანქციები მაინც გამოიყენება. გამართლება არსებობს და იგი გაერო-ს გლობალურ ხასიათში მდგომარეობს. თუმცა იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ შესაბამისად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, გაერო მსოფლიო მთავრობად, გაერო-ს ქარტია კი — მსოფლიო კონსტიტუციად უნდა ვაღიაროთ, რაც წინამდვილეს არ შეესაბამება.

აღნიშნულის მაგალითად შეგვიყვანა ისევ როდენიის განხილული შემთხვევა მოვიყვანოთ, როდესაც სანქციებს როდენისათვის არ შეიძლებოდა გამართლება ჰქონოდა, რადგან იგი იმ პერიოდისათვის არ იყო შეერთებული ქვეყნების

წევრ სახელმწიფოთა რიგებს. მაგრამ ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთი როდენიის მეურვეს წარმოადგენდა, ამ უკანასკნელის თანხმობა უშიშროების საბჭოზე საკმარისი არგუმენტი იყო ქმედების მოსაზღვრად.

საერთაშორისო სასამართლოს მიერ დაფიქსირდა მომენტი რომ 42-ე მუხლის მიხედვით გატარებული სამხედრო ღონისძიებები მიმართულია 39-ე პუნქტში მოყვანილი შემთხვევების გამოყენების სახელმწიფოს (მშვიდობის დაღვევა, აგრესია და მშვიდობის მუქარა) წინააღმდეგ სანქციების, ანუ იძულებითი ღონისძიებები გაულისხმობს რომ ისინი ტარდება ამ სახელმწიფოს ნების მიუხედავად. მაგრამ, თუ იგი განაცხადებს თავის მოსახლეობას აღნიშნული სამხედრო ძალების საკუთარ ტერიტორიაზე, ეს სცილდება შემთხვევას, როდესაც სამართლებრივი დარეგულირებას ექვემდებარება 42-ე მუხლის შესაბამისად აღიღებს შეთანხმების სახეს. მიუხედავად ამისა, დასკვნის გაკეთება მსგავს ქმედებაზე 39-ე მუხლის კონტექსტიდანაა შესაძლებელი.

მნიშვნელოვანია 41-ე და 42-ე პუნქტების შედარება. მირველი აღწერს წინაპირობებსა და შედეგებს 39-ე მუხლზე დაყრდნობით, ხოლო 42-ე წარმოადგენს პუნქტის გაგრძელებას, რომელიც უფრო კატეგორიული და რადიკალური ზომების გატარების შესაძლებლობას გულისხმობს მშვიდობის დარღვევაზე, აგრესორი ამ მშვიდობისათვის საფრთხის შემქმნელი სახელმწიფოსადმი.

ღონისძიებებში, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს 41-ე მუხლის შესაბამისად, ფიგურირებს შემდეგი სახის ზომები: ეკონომიკური ურთიერთობების სრული ან ნაწილობრივი განწყვეტა, საკონიგზო, საზღვაო, საპარო, საფოსტო, სატელეგრაფო, რადიო და შეტყობინების სხვა საშუალებების, და ასევე დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ 42-ე პუნქტით უშიშროების საბჭო რადიკალურ ზომებს მიმართავს აგრესორის მიმართ, რაშიც შესაძლოა ძალისმიერი მეთოდებიც ვიგურობდნენ.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, უშიშროების საბჭო შესაძლოა თავად ხელმძღვანელობდეს სამხედრო ღონისძიებებს, ან ამ საკითხებში მოკავშირე სახელმწიფოებს გადასცეს უფლებამოსილება. ქარტიის 47-ე მუხლით გათვალისწინებულია სამხედრო-საშტაბო კომიტეტის შექმნა. უშიშროების საბჭო სამხედრო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია მის მიერ დაქვემდებარებაში გადაცემული ჯარების განკარგვაში, მათ ხელმძღვანელობაში, შეიარაღების რეგულირებასა და შესაძლო განიარაღებაში რჩევის და დახმარების აღმოჩენაში.

ქარტიის მიხედვით, სამხედრო-საშტაბო კომიტეტი დაკომპლექტებულია უშიშროების საბჭოს მანდირი წევრების შტაბების ხელმძღვანელებით ან მათი წარმომადგენლებით. თუ კომიტეტის მოვალეობის შესრულების ეფექტურობისათვის

საჭიროა უშიშროების საბჭოს არანევრი სახელმწიფოს მონაწილეობა კომიტეტის მუშაობაში, შესაძლებელია ორგანიზაციის ნებისმიერი წევრის მოწვევა კომიტეტის მიერ მასთან თანამშრომლობის მიზნით. სამხედრო-საშტაბო კომიტეტი უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებაში მოყვანილების მიერ უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებაში მოყვანილების მიერ სამხედრო ძალების სტრატეგიულ ხელმძღვანელობაზე.

საინტერესო ფაქტია, მაგრამ არც ერთი ღონისძიების მსვლელობის დროს აღნიშნული მუხლი უშიშროების საბჭოს მხრიდან გამოყენებული არ ყოფილა.

სამხედრო ოპერაციის ჩამოყალიბებისას, უშიშროების საბჭო თხოვნით მიმართავს მთავრობებს ჯარების გამოყოფის თაობაზე. მას შეუძლია უფლებამოსილება იძულებითი ღონისძიებების გატარების შესახებ ერთ სახელმწიფოს ან მათ ერთობას გადასცეს. აღნიშნული მომენტი ასევე საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც ეყრდნობა. საბჭო უფლებამოსილია მანდატი გადასცეს ამა თუ იმ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს, და თხოვოს მას 39-ე მუხლზე დაყრდნობით ამოქმედოს 42-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია 42-ე მუხლით გათვალისწინებული ზომები გატარებული იყოს მთლიანად ნევრი სახელმწიფოების ან მათი წარმომადგენლები, რომელთაც ისევ საბჭო განსაზღვრავს.

ორგანიზაციის ყველა წევრი, საერთაშორისო მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის მიზნით, ვალდებულია იღებს უშიშროების საბჭოს განკარგულებაში, მისი მოთხოვნის და განსაკუთრებული შეთანხმებების საფუძველზე ან საერთაშორისო მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი შეთანხმებით, გადასცეს შეიარაღებული ძალა და, დახმარება და მოხმარების შესაბამის საშუალებები საკუთარ ტერიტორიაზე გატარების უფლების ჩათვლით.

ამგვარი შეთანხმება ან შეთანხმებით განსაზღვრავს შეიარაღებული შენაერთების რაოდენობას და სახეობას, მათი მომზადების დონეს და საერთო განლაგებას, მომსახურების საშუალებების და დახმარების ხასიათს.

აუცილებელია განმარტება საჭიროებს ფაქტი, რომ 43-ე მუხლის შესაბამისად, საბჭო ვერ ავალდებულებს მთავრობებს გამოყოფნა შეიარაღებული ძალები საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსადგენად ან დასამყარებლად, საბჭოს უფლებამოსილება მხოლოდ თხოვნით ან მოწოდებით შემოიფარგლება.

**იძულებითი ღონისძიებები მუდმივი წევრების წინააღმდეგ**

უშიშროების საბჭოს ხუთი წევრის პრივილეგია, რაც ვეტოს უფლებას გულისხმობს, სხვა სახელწიფოთა მხრიდან ხშირად გამხდარა კრიტიკის საგანი. ბევრისათვის იგი უფრო ფართო ცნებითაც ყოფილა გაგებული და მისი გაიკრევა ფაქტიურ შეუზღუდავობასთანაც მომხდარა. შესაძლებელია თუ არა იძულებითი ზომები სწორედ ხუთეულის წინააღმდეგაც იყოს გამოყენებული? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია განვიხილოთ 1956 წლის მაგალითი, რომელიც ისრაელის გარშემო შექმნილ სიტუაციას ეხება.

სუეცის კრიზისიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირმა სხდომაზე გააკეთა წინადადება, რომელიც მოითხოვდა ისრაელის, ინგლისის და საფრანგეთის ძალების დაუყოვნებლივ მობილჩაივის სუეცის კრიზისის გადაწყვეტვად, ან უფლებების დელეგირებას სსრკ-სა და აშშ-სათვის, 41-42-ე მუხლების შესაბამისად, იძულების გამო-საყენებლად მათ წინააღმდეგ. მიუხედავად წინადადების განხილვის შემდეგ, ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, რომლის მიხედვითაც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ფაქტი, რომ ქარტია არ ზღუდავს VII თავის გამოყენებას ხუთეულის წინააღმდეგ.

როგორც შემდგომ დასკვნაში აღვნიშნავთ, ერთი მომენტითა ქარტიის მხრიდან დაფიქსირებული მოთხოვნა და მეორე — რეალური პოლიტიკური კონიუნქტურა.

**თავდაცვის უფლება:**

იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაციის წევრზე მოხდება შეიარაღებული თავდასხმა, მანამ, სანამ უშიშროების საბჭო საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ მიიღებს შესაბამის ზომებს, სახელწიფოს განაჩნია განუსხვისებელი უფლება მოახდინოს აქტიური თავდაცვა, მათ შორის, შეიარაღებული.

საერთაშორისო საჯარო სამართალი უკრძალავს ქვეყნებს ღიად აწარმოონ აგრესიული ომი. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები ხშირად თავიანთ მიზნების მისაღწევად მანიპულირებენ თავდაცვის უფლებით. ეს განსაკუთრებით ჩანს XX საუკუნეში, როდესაც ლეგალური ომის წარმოება სულ უფრო და უფრო ნაკლებ შემთხვევაშია შესაძლებელი. ამდენად, თავდაცვის უფლება დიდ მნიშვნელობას იძენს. ყველაფერი ბრიანდ-კელოვის პაქტიდან (1928წ.) დაიწყო. პირველად სწორად იქ დაფიქსირდა თავდაცვის უფლება. დღესდღეობით ეს ომის წარმოების ერთადერთი „კანონიერი“ საშუალებაა.

გაეროს ქარტია მხოლოდ ორ შემთხვევაში უშვებს ძალის გამოყენებას: VII თავზე დაყრდნობით უშიშროების საბჭოს ღონისძიებათა გატარება და ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენება (51-ე მუხლი).

გაეროს ქარტია არ გამოირჩევა ძალის გამოყენებას, მაგრამ მნიშვნელოვან ზღუდავს და

დაპყავს თავდაცვის უფლებამდე. აშკარაა, რომ 51-ე მუხლის, „შეიარაღებული თავდასხმა“ გაცილებით ვიწრო ცნებაა, ვიდრე მე-2 მუხლში ნახსენები „ძალით შექარა ან ძალის გამოყენება“. შეიარაღებული თავდაცვის მათზე განხორციელებამდე სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან თავდაცვის უფლებაზე. ამ სიტუაციაში სახელმწიფოს შეუძლია უზარალო მიმართოს უშიშროების საბჭოს, რათა მოხდეს მე-2(4) მუხლზე დაყრდნობით იმის დაფიქსირება, რომ მოხდა ამ მუხლის დარღვევა და უშიშროების საბჭომ გადაწყვიტოს რა ღონისძიებათა გატარება მიზანშეწონილ 41-ე ან 42-ე მუხლზე დაყრდნობით. მხოლოდ თავდაცვის შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს თავდაცვის უფლება. მეორეის აქაც შეზღუდულია: ვერ ერთი, ამ დროს მან უნდა დაიცვას პროპორციულობის პრინციპი და მეორე, დაუყოვნებლივ აცნობოს უშიშროების საბჭოს რათა მან მიიღოს შესაბამისი ზომები საყოველთაო მშვიდობის და უშიშროების შესანარჩუნებლად. ბუნებრივია, ამ ღონისძიებათა გატარების დროს სახელმწიფო უკვე არ ფლობს თავდაცვის უფლებას, რადგან მას ზღუდავი უშიშროების საბჭო ზრუნავს.

ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ძალის გამოყენება არ წარმოადგენს ყოველთვის შეიარაღებულ თავდასხმას. აქედან გამომდინარე, ნაკლებად არის დაცული სახელმწიფოები, რომელთა წინააღმდეგაც მოხდა ძალის გამოყენება, მაგრამ არა შეიარაღებული თავდასხმით. საერთაშორისო იურიდიულ კრებულში ბევრი რამ გავითვალისწინებთ, მაგალითად 51-ე მუხლს შორის ამ წინააღმდეგობის დასაბუთვად. შემუშავდა ორი მიდგომა. პირველი ძალის გამოყენებას უტოლებს შეიარაღებულ თავდასხმას და აქედან გამომდინარე, 51-ე მუხლზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ძალის გამოყენების მსხვერპლ სახელმწიფოს აქვს თავდაცვის უფლება. მეორე მიდგომა კი პირიქით, თვლის: „შეიარაღებული თავდასხმა“ ძალზე ვიწრო ცნებაა და აქედან გამომდინარე თავდაცვის უფლება უნდა გავრცელდეს არა მარტო მასზე, არამედ ნებისმიერი ძალის გამოყენებაზე.

კონვენტს უფლებად, მე-2 და 51-ე მუხლები ზედმინერით ერთმანეთს არ ემთხვევა. იბადება კითხვა, რამდენად შეიძლება არსებობდეს თავდაცვის უფლება 51-ე მუხლს გარეთ? ანუ შეიძლება კი სახელმწიფომ თავი დაიცვას, თუ მასზე არ განხორციელებულა „შეიარაღებული თავდასხმა“. გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად ძალის გამოყენების შემთხვევაში მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს თავდაცვის უფლება მხოლოდ 51-ე მუხლიდან გამომდინარე შეიძლება ჰქონდეს.

გაბატონებულ დოქტრინას ეწინააღმდეგება მიდგომა, რომელსაც საფუძვლად თავდაცვის ჩვეულებითი უფლება (customary right to self-defence) უდევს. ამ მიდგომის მიხედვით, სახელმწიფოს უფლება აქვს გამოიყენოს თავდაცვა და თითო-

დახმარება მთელ რიგ შემთხვევებში, როდესაც საკმე ეხება: სიცოცხლეს, სახელმწიფოს ეროვნულ საკუთრებას საზღვარგარეთ. ქვეყნის აგრესიულ შეუღობა დაიცავს თავისი ეკონომიკური ინტერესები საზღვარგარეთ და ა.შ. მაგრამ საერთაშორისო სასამართლოს დადგენილებით, თავდაცვის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემთხვევებში გარდა „შეიარაღებული თავდასხმისა“.

„შეიარაღებული თავდასხმა“ 51-ე მუხლის ცენტრალური ცნებაა. საერთაშორისო სასამართლომ ეს ტერმინი შემდეგნაირად განმარტა: „შეიარაღებული თავდასხმა არის ერთი სახელმწიფოს სამხედრო ძალების მიერ არა მარტო მეორე სახელმწიფოს საზღვრის გადაკეტვა, არამედ შეიარაღებული თავდასხმის ცნებაში შედის ერთი სახელმწიფოს მიერ მონაწილეობა არაოფიციალურ სამხედრო ფორმირებებში“.

არსებობს გენერალური ასამბლეის „აგრესიის განსაზღვრება“.

51-ე მუხლში ნახსენები „შეიარაღებული თავდასხმა“ შეიძლება იყოს:

- შექარა, ბომბარდირება და სასაზღვრო სროლა;
- ბლოკადა;
- საზღვარგარეთ მყოფი სახელმწიფოს პოზიციებზე იერიში;
- ხელშეკრულებათა დარღვევა;
- სხვა სახელმწიფოსათვის უფლების მიცემა თავის ტერიტორიის გამოყენების შესახებ სახელმწიფოსადმი აგრესიის განსახორციელებლად;
- მონაწილეობა არაოფიციალურ ფორმირებათა სამხედრო ქმედებებში.

**კოლექტიური თავდაცვის უფლება**

51-ე მუხლში მოცემულია არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური თავდაცვის უფლების ცნებაც. ერთადლი, მას არანაირი ისტორიული საფუძველი არა აქვს არც 51-ე მუხლის შემხმში, ასევე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში 1945 წლიდან. მეტიც, ეს ცნება ასუსტებს ძალის გამოყენების აკრძალვის ეფექტურობას. საერთოებს ეს უფლება არ გამომდინარეობს რომელიმე ხელშეკრულებიდან. აუცილებელია, რომ კოლექტიური თავდაცვის უფლება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუკი მსხვერპლ-სახელმწიფოსაგან ამის მოთხოვნა იქნება.

პრევენტიული თავდაცვა შესაძლებელია, რომ პრევენტიული თავდაცვის უფლება ეწინააღმდეგებოდეს 51-ე მუხლის სიტყვებს „შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში“. ამასთანავე შირად ძნელია მოსალოდნელი საფრთხის სწორად განსაზღვრა. 51-ე მუხლის ინტერპრეტაცია ვიწრო გაგებით უნდა მოხდეს, ანუ პრევენტიული თავდაცვა უნდა აიკრძალოს. თავდაცვა მიზანშეწონილია მხოლოდ თავდასხმის შემდეგ.

გაეროს ქარტიის მიხედვით, უშიშროების საბჭო პასუხისმგებელია მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებაზე. ამიტომაც რომ თავდაცვის უფლების გამოყენება შეიძლება მანამ, სანამ უშიშროების საბჭო შესაბამის ღონისძიებებს არ გატარებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 51-ე მუხლით გათვალისწინებულ თავდაცვის უფლებას მხოლოდ „დაბმარე“ სახისათვის აქვს. ამასთანავე, თავდაცვის უფლება გარკვეულწილად პროპორციულობის პრინციპითაა შეზღუდული, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხედრო ქმედებები იმ დოზით უნდა განხორციელდეს, რომელიც საჭიროა შეიძლების მოსაგონებლად.

წესდება გარკვევითი მიუთითებს მომენტზე, რომ 42-ე მუხლის ამოქმედებამდე სახელმწიფო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა თავი დაიცვას. 42-ე მუხლის ძალაში შესვლისთანავე კი 51-ე ნვეტებს მოქმედებას. 1990 წლის 2 აგვისტოს 660-ე რეზოლუციამ საინტერესო პრეცედენტი შექმნა გაეროს ისტორიაში. ქუვეითის თავდაცვის უფლება ერასიგან, ეჭვგარეშე, უშიშროების უფლებამოსილია შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ქვეყნის ავტორიტატი, რომელიც უფლებამოსილი იყვნენ გამოიყენებინათ სამხედრო ძალები ქუვეითის სუვერენიტეტის დასაცავად, პრაქტიკის მიხედვით ასეთ შემთხვევაში 51-ე მუხლს უნდა შეწყვეტა მოქმედება. აშშ-ს ინიციატივით კი რეზოლუციის დამონება მთლიანად VII თავზე მოხდა, რამაც ფაქტიურად ურთიერთქმედებაში დატოვა 42-ე და 51-ე მუხლები, ანუ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან იძულების გატარება აგრესორის წინააღმდეგ და ქუვეითის მთავრობის პრეოგატივა აქტიური თავდაცვაზე.

**ძალისმიერი თანამშრომლობის მნიშვნელობა გლობალურ და რეგიონალურ ორგანიზაციებს შორის**

53-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი ნაზი არ ზღუდავს გაეროს გამოიყენოს რეგიონალური ორგანიზაციები იძულებითი ღონისძიებების განხორციელების დროს თვით ორგანიზაციის წევრებს შიგნით. ანუ, თუ დაეკონკრეტდებით, მათი პირველადი ფუნქციაა მშვიდობის მინერ შენარჩუნება. მეცნიერთა ნაწილი ხშირად ამტკიცებს დანიშნულ მოსაზრებას და მიზანშეწონილად მიიჩნევს გაეროს-ს მიერ მათი სამხედრო პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობას იძულებითი ღონისძიებების განხორციელებისას რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებს გარეთ. მიუხედავად წინააღმდეგობისა, უშიშროების საბჭო მინერ იყენებს მათ იძულებითი მექანიზმების ამუშავებისას და მოქმედების ქარტიის VII თავის 39-ე მუხლით ამართლებს.

53-ე მუხლის მიერ გათვალისწინებული პირობების ამუშავება გაეროსა და რეგიონალურ გაერთიანებებს შორის დამოკიდებულია „იძუ-





იგი შესარულდება 68მ-ე რეზოლუციის პირობებს.

**ცეცხლის შეწყვეტა**

3 აპრილს, ერთდღიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ, საბჭოში მიიღო 687-ე რეზოლუცია, რომელიც ოფიციალურად აწესებდა ცეცხლის შეწყვეტის პირობებს, მაგრამ იმავდროულად აღნიშნავდა, რომ შეთანხმება მაშინ შევიდოდა ძალაში, როდესაც ერაყი ოფიციალურად აღიარებდა რეზოლუციის პირობებს. მხოლოდ ამ პირობის დაკმაყოფილების შემდეგ, 11 აპრილს, საბჭოს პრეზიდენტმა ოფიციალურად აღიარა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

**ერაყ-ქუვეითის ომი, როგორც მშვიდობისათვის იძულების საერთაშორისო პრეცედენტი**

მიმდინარე მოვლენები და ყველა რეზოლუცია, რომელიც უშიშროების საბჭომ ერაყის წინააღმდეგ მიიღო, გაერო-ს ქარტიის VII თავს ეყრდნობოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, რეზოლუცია განსაკუთრებით იმ გარემოებით იყო საინტერესო, რომ იგი ემონებოდა მთლიანად VII თავს. რეზოლუციის მიხედვით, მოქმედებაში იყო 39-ე მუხლი 51-ესთან ერთად, ანუ ერთად მოქმედებდა საერთაშორისო სანქციების პრინციპი და თავდაცვის მექანიზმი (ქუვეითის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს უფლება), რაც მანამდე არ აღინიშნებოდა საერთაშორისო პრაქტიკაში.

აღნიშნული მასშტაბის საერთაშორისო იძულებითი მექანიზმი (იგულისხმება ეკონომიკური ემბარგო) 1991 წლამდე მხოლოდ ორჯერ იქნა გამოყენებული. პირველად, 1966-1979 წლებში, სამხრეთ როდეზის წინააღმდეგ და შემდეგ, 1977 წელს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ქუვეითის შემდეგ გაერო-ს ეკონომიკური სანქციების მექანიზმი განსაკუთრებით წარმოჩნდა საბჭოს მოქმედებების შედარებით თავისუფალი არჩევანი, ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით, 1991 წელს აღმოსავლეთის ბლოკის დაშლამ განაპირობა. 1991 წლის ერაყ-ქუვეითის მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა პრეცედენტს, რომელზეც შედგომ რამოდენიმეჯერ განმეორდა: 1992 წელს ეკონომიკური ემბარგო ყოფილი იუგოსლავიის წინააღმდეგ, 1993 წელს ჰაიტის წინააღმდეგ, 1993-94 წლებში კვლავ ბალკანეთში.

განსაკუთრებით საინტერესოა ფაქტი, რომ უშიშროების საბჭოს მხრიდან ძალიან იშვიათი იყო მშვიდობის აღსადგენად სამხედრო ძალის-

მიერი ქმედებების სანქცირება. ასეთი შემთხვევა სულ ორჯერ აღინიშნა და მაშინაც, საბჭოს ერთმნიშვნელოვნად VII თავზე დაყრდნობა არ მოუხდენია. პირველი პრეცედენტი 1950 წელს კორეის ომის<sup>\*</sup> დასასრული იყო. ხოლო მეორე, 1960-64 წლებში, კონგოში სამოქალაქო ომის დროს.

**კოსოვოს ქეისი - ახალი ტენდენციები იძულების მექანიზმებში**

კოსოვოში ნატო-ს ჯარების მიერ სამხედრო ოპერაციების განხორციელებამ მრავალი დისპუტი გამოიწვია საერთაშორისო საზოგადოებაში. გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე საპაერო დარტყმების განხორციელება მკვეთრად იყო გააკრიტიკებული როგორც გაერო-ს, ასევე მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან. მაგრამ არსებობს მოსაზრებები, რომლებიც ხსნიან და ამართლებენ აშშ-ს და საერთოდ ნატო-ს ძალების ქმედებებს ყოფილ იუგოსლავიაში.

**კოსოვოში ძალის გამოყენების სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხები**

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ იუგოსლავიის წინააღმდეგ საპაერო დარტყმების განხორციელება, მნიშვნელოვანია საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაციის ტენდენციების მიმოხილვის თვალსაზრისით. საინტერესოა მოტივაცია, რომელიც ეყრდნობოდა აშშ და მისი მოკავშირეები ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან საკუთარი ქმედებების გასამართლებლად.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სახელმწიფოების არგუმენტაცია ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით ეყრდნობოდა დებულებას, რომ საპაერო დარტყმები იუგოსლავიის წინააღმდეგ განხორციელდა კოსოვოელი ალბანელების „ეთნიკური წმენდის“ შესაჩერებლად. ალიანსის მოქმედების სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძველად მისი წევრი სახელმწიფოები ნატო-ს ხასიათსა და კოსოვოსთან დაკავშირებით მიღებული უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შეუსრულებლობას ასახელებდნენ;

**ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხასიათი**  
ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გაერო-ს ქარტიის სწორედ 51-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციაა, აქვს მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი და ემსახურება ალიანსის წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართული ძალის მუქარის და აგრესიის აღკვეთას. აქედან გამომდინარე, ჩრდილოატლანტიკურ

ალიანსს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე ძალის გამოყენება შეუძლია მხოლოდ გაერო-ს ქარტიის 51-ე მუხლით გათვალისწინებული კოლექტიური თავდაცვის უფლების რეალიზების შემთხვევაში.

ალიანსიწევრია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში დიდი ყურადღება ეთმობა ე.წ. მე-5 მუხლის ფარგლებს გარეთ კრიზისების დასაძლევად წარმოებულ ოპერაციებს, რომლებიც იმავე კონცეფციის მიხედვით საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს. საერთაშორისო სამართალი, აღნიშნულ შემთხვევაში გაერო-ს ქარტიის მე-7 თავი რეგაიონული ორგანიზაციის მიერ იძულების ღონისძიებების განხორციელების უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებას გულისხმობს.

აღნიშნულ კონტექსტში კოსოვოში განხორციელებული ალბანელების ეთნიკური წმენდის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიად და, შესაბამისად ალიანსის სამხედრო დარტყმების კოლექტიური თავდაცვის გამოყენების სახით ინტერპრეტირება სადარბობლად რთულია. შესაბამისად, იუგოსლავიის წინააღმდეგ საპაერო აქციას, როგორც იძულების ღონისძიებას, აუცილებლად სჭირდებოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქცია.

აღნიშნული სინდემლებიდან გამომდინარე, თეზისი, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, როგორც გაერო-ს ქარტიის 51-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაცია, არ საჭიროებს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციის ძალის გამოსაყენებლად, ინტენსიურად გამოყენებული არ ყოფილა.

**უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შეუსრულებლობა**

აღნიშნული მიდგომის მაჩვენებელია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის 998 წლის 9 ოქტომბრის წერილი, რომელშიც შემდეგი დებულებები ჩამოყალიბდა:

- უშიშროების საბჭოს მიერ გაერო-ს ქარტიის მე-7 თავის მიხედვით მიღებული 1998 წლის 31 მარტის 1160 და 1998 წლის 23 სექტემბრის 1199 რეზოლუციებისა, იუგოსლავიაში არ შესრულა საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნა;
- გაერო-ს გენერალური მდივნის მოხსენებებში, რომელიც ზემოაღნიშნული რეზოლუციების შესაბამისად გაკეთდა, სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება კოსოვოში ჰუმანიტარული კატასტროფის საფრთხეზე გამახვილდა;
- ჰუმანიტარული კატასტროფა გრძელდებოდა, რადგან იუგოსლავიაში არ განახორციელა

კონკრეტული ღონისძიებანი კრიზისის მოსაგვარებლად;

- გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც გაითვალისწინებდა იძულების ღონისძიების განხორციელებას, უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ იყო;
  - კოსოვოში სიტუაციის გაუარესება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერო-ს უშიშროების საბჭოს 119 რეზოლუციით.
- შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ასკვნიდა, რომ არსებობს ლეგიტიმური საფუძველი ალიანსის მიერ ძალის მუქარის და თუ საჭირო გახდა, ძალის გამოყენებისათვის.

1998 წლის 24 ოქტომბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1203. 1999 წლის იანვარში კოსოვოში სიტუაციის დაძაბვასა და შეტაკებების განახლებასთან დაკავშირებით აღიანსი იუგოსლავიას კვლავ ძალის გამოყენებით დაემუქრა. აღსანიშნავია, რომ 1999 წლის იანვარში, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოჯი ანანმა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იუგოსლავიაში სამხედრო ჩარევისათვის ჩვეულებრივ, საჭიროა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია. 18 მაისს, უკვე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ ძალის გამოყენების შემდეგ კოჯი ანანმა ერთგვარი შეშფოთებით აღნიშნა, რომ „წევრი სახელმწიფოები და თვით რეგიონული ორგანიზაციები იძულების ღონისძიებებს ზოგჯერ უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე ახორციელებენ.“

გაერო-ს ქარტიის მოთხოვნების ფონზე, რომლის ავტორიტეტულ ფორმულირებას გაერო-ს გენერალური მდივნის ზემოაღნიშნული განცხადებები წარმოადგენს, რთულია იმის არგუმენტირება, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ კოსოვოს შესახებ მიღებული რეზოლუციები წარმოადგენდა საკმარის საფუძველს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ იუგოსლავიაზე საპაერო დარტყმების მისაყენებლად.

**ჰუმანიტარული ინტერვენცია და მისი თანაფარდობა სახელმწიფო სუვერენიტეტთან**

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ საკუთარი პოზიციის არგუმენტირებაში აშკარად იკვეთება ე.წ. „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ დოქტრინა.

როგორც ცნობილია, ჰუმანიტარული ინტერვენცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის, ასევე

\* 1950 წელს კორეის ომის დროს, გადაწყვეტილება იძულების სამხედრო ავტორიტეტის უშიშროების საბჭომ სსრკ-ს მხარეზე გადასვლის გარეშე მიიღო, რადგან ეს უხანასკნელი პროტესტის ნიშნად ფაქტზე, რომ სხდომას ესწრებოდა ჩინეთის რესპუბლიკის (ტაივანის) მთავრობა და არა სახალხო რესპუბლიკისა, სხდომას არ ესწრებოდა.

არასამთავრობო აქტივების წინააღმდეგ. ჰუმანიტარულ ინტერვენციას წარმოადგენს სახმელეთო ჩარევა თუ იგი შემდეგ ოთხ კრიტერიუმს პასუხობს:

1. მოცემულ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ადამიანის უფლებების დარღვევების უშუალო და სერიოზული საფრთხე, რომელსაც შესაძლოა მოსახლეობაში მასიური მსხვერპლი მოყვას;
2. ინტერვენციის მიზანს მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა უნდა წარმოადგენდეს;
3. ძალისმიერი აქცია არ უნდა ხორციელდებოდეს მოცემული სახელმწიფოს ლეგიტიმური მთავრობის მიმართვის ან მისი თანხმობის საფუძველზე;
4. ძალისმიერი აქცია არ უნდა იყოს საექსპორტული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ განხორციელებული აქცია პასუხობს მხოლოდ პირველ მეორე და მესამე კრიტერიუმებს.

როგორც ბატონმა ხ. სოლანამ 1998 წლის 9 ოქტომბრის წერილში აღნიშნა, ალიანსის მიერ ძალით მუქარა ან ძალის გამოყენება მიმართული იყო იუგოსლავიის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების იძულებისაკენ. ეს გარემოება თავიდანვე ანახევრებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო აქციას ჰუმანიტარული ინტერვენციის კლასიკური გაგებისგან.

უშიშროების საბჭოს 1999 წლის 10 ივნისის სხდომაზე ცალკეული სახელმწიფოების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ იცვლება ბალანსი სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვასა და ადამიანის უფლებების მასობრივი და უხეში დარღვევის აღკვეთის მიზნით ჩარევას შორის.

*ბოლიანობაში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ იუგოსლავიის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აქცია უშიშროების საბჭოს მიერ 1244(1999) რეზოლუციის მიღებამდე შეიძლება შეფასდეს, როგორც ჰუმანიტარული ინტერვენცია; ძალის გამოყენება ჰუმანიტარული ინტერვენციის რეჟიმში, მიუხედავად მისი მიზნებისა, საერთაშორისო ნებსრიგისათვის გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს. შესაძლოა სახელმწიფოში, სადაც ადგილი აქვს ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს, ცალკეული სახელმწიფოების მიერ ჩარევა განხორციელდეს კონფლიქტის სხვადასხვა მხარის მხარდასაჭერად. სიტუაციის ასეთი სახით განვითარებამ შესაძლოა საერთაშორისო ნებსრიგის ფრამენტაცია და არსებული კონფლიქტების ესკალაცია გამოიწვიოს;*

ასეთ საფრთხეებს სრულად აცნობიერებენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელები, როდესაც იუგოსლავიის წინააღმდეგ განხორციელებულ ოპერაციას განიხილავენ როგორც გამოჩაქვინის, განსაკუთრებულ ღონისძიებას.

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 1244 რეზოლუციის მიღებამ, რომლის მუდმივწევრებად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამი წამყვანი სახელმწიფო ირიცხება, დადასტურა უშიშროების საბჭოს, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის ძირითადი პასუხისმგებელი ორგანოს როლი.

კოსოვოში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში, განსაკუთრებით კი 1999 წლის 10 ივნისის 1244 რეზოლუციის მიღებამ წარმოაჩინა, რომ უშიშროების საბჭოს არაეფექტურობის პრობლემის ძირი არა აღნიშნული ინსტიტუტის „თანდაყოლილ ნაკლოვანებებში“, არამედ მისი წევრი სახელმწიფოების ინტერესების შეუთანხმებლობაში უნდა იქნას მოძიებული.

ნაწილი IV

იძულება საერთაშორისო მშვიდობისათვის - მიწოდება და რეალიზაცია

**მიზანი რომელიც ამართლებს საშუალებას?**  
იძულებითი ღონისძიებების განხილვისას ერთი ცნობილი ფორმულირება, უფრო სწორედ სადავო შეხედულება არ მცოდნებოდა. იგი ნიკოლო მაკიაველს ეკუთვნის - „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

საერთაშორისო საზოგადოებად უმთავრეს მიზანად საერთაშორისო მშვიდობა დაიხაზა. მხოლოდ მშვიდობიანი გარემო იძლევა თანასწორ შესაძლებლობებს ყოველი ერისა და ხალხისათვის განვითარდეს და გააუმჯობესოს საკუთარი კეთილდღეობა. მიზნის, საყოველთაო უსაფრთხოებისა და მშვიდობის, მისაღწევად ცივილიზაციამ საერთაშორისო ორგანიზაციები ჩამოაყალიბა, რომლებიც საშუალებას აძლევენ მსოფლიოს სახელმწიფოებს გაუერთნებლად მათი სიდიდისა და პოლიტიკური გავლენისა, გამოხატოს საკუთარი ნება. პრინციპი - საერთაშორისო დავებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა - უმთავრეს პოსტულატადაა აღიარებული.

მიუხედავად ხსენებული ფაქტორისა, საერთაშორისო სისტემამ გარანტიის სახით გამოიჩინა იძულების ცნება, როგორც უკიდურესი საშუალება. ფორმულირება ადვილად აღქმადია - მშვიდობის მიღწევა ძალისმიერი საშუალებებით, უსაფრთხოება იძულების ძალით. შესაძლოა ტალიონის

პრინციპი, XX საუკუნის ჰუმანიზმიდან გამომდინარე, უსადაუკუნეობელი გადმონათეს წარმოდგენებს, მაგრამ ამავე დროს, სწორედ განონანსორებული ძალის შექანიში იძლევა საყოველთაო უსაფრთხოების საფუძველს. აგრესიული ქმედება საპასუხო რეაქციას იწვევს. შიში ძალის წინაშე მრავალ ავანტიურისტულ ქმედებას უკვცავს ფრთებს. მაგრამ ეჭვი, რომ ყველაფერი ფარდობითია და მათ შორის ძლიერებაც, ხშირად არღვევს მსოფლიო წონასწორობას (მაგალითად თუნდაც ერაყ-ქუვეითის ომი ავიღოთ) და მაშინ საერთაშორისო საზოგადოება კონსოლიდაციის შედეგად ან პიროვნულ ძლიერებაზე დამყარებული ცდილობს ალაგმოს აგრესორი. ძალის გამოყენებისათვის მას ლეგალური საფუძველი ესაჭიროება. აღნიშნულის საფუძველს კი გაეროს ქარტია განსაზღვრავს.

იძულება - მედლის ორი მხარე

არსებობს მოსაზრება, რომ იძულება იმ მედალს მოგვავს, რომელსაც ორი მხარე გააჩნია. ზედა მხარესაერთაშორისო შეთანხმებით გამოტყვევებული იძულებითი ღონისძიებაა, ხოლო მეორე - ჩვეულებრივი ინტერვენცია. მოსაზრებას ბევრი მართებულად მიიჩნევს, ზოგიც კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება. პასუხი შეიძლება მარტვი იყოს: იქ, სადაც ყოველი მეთოდი ამონურულია და არსებობს მტკიცება იმისა, რომ კონფლიქტი რომელიც ამჟამად ათასების სიცოცხლეს იწირავს, ხვალ ათათათობით უდანაშაულო მსხვერპლს მოითხოვს, საერთაშორისო საზოგადოება და სახელმწიფოთა ლიდერები ორი ბოროტებიდან ნაკლებს ირჩევენ. „გაეროს“ ჩარევა შიდა პოლიტიკაში VIII თავის საფუძველზე არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გაეროს მხრიდან მიზნის მისაღწევად ქვეყნების სუვერენიტეტის უხეში დარღვევა.“

ამ არჩევნის საფუძველად ზოგი სახელწიფობრივ ინტერესებს და კერძოდ, ქვეყნის საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ სწრაფვას ასახელებს, ზოგიც, უფრო მშვიდობის უკან მდგომ ჰუმანურობას მიიჩნევს ქმედების გამართლებად.

თეორია თუ რეალიზაცია?

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ კაცობრიობამ გაერთანებული ერების ორგანიზაციაში სამშვიდობო გარანტი დაინახა. დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, განახორციელა თუ არა ორგანიზაციამ მიზანი. ფაქტი ფაქტად რჩება, „ცივი ომის“ მსოფლიო არსებულ ტემპერატურის ფარგლებშივე დარჩა და არ მიეცა გლობალურ კონფლიქტში გადაზრდის საშუალება. კონფლიქტების წინაშე ეფექტურ ქმედებას, უპირველეს

ყოვლისა, ძლიერი პოლიტიკური ნება და სახელმწიფოთა სოლიდარობა ესაჭიროება. ხოლო ძალა, რომელსაც საფრთხისაგან თავდაცვის მიზნით შეესაძლოა სისტემამ მიმართოს, მხოლოდ საშუალებაა და ისიც არამუდმივი.

განსაკუთრებულ შემთხვევებში გაერო მოქმედებად როგორც ძალისმიერი მექანიზმი მშვიდობისათვის საფრთხის აღმოსაფხვრელად. უფრო ხშირად კი ახდენდა წევრი სახელმწიფოებისაგან მისთვის მინიჭებული „გამართლებული აგრესიის“ უფლების დედეგირებას „კაცობრიობის ნების“ აღმსრულებლისათვის. კვლავ იდეალიზმი იქნება ამ უკანასკნელის ქმედება მხოლოდ კეთილი სანყისის გამოვლენისათვის მიზნად. რაღა თქმა უნდა, ქმედებისათვის უპირველეს განმაპირობებელი ფაქტორს მისი ქვეყნის ეროვნული ინტერესი წარმოადგენდა. ჩემს მიერ განხილულ შემთხვევებში, გაეროს თხოვნას წევრი სახელმწიფოებისადმი „აღმოეჩინათ დახმარება უშიშროების საბჭოსათვის სამშვიდობო მისიის განხორციელებისას“ ან იძულებითი მექანიზმის აშუშავებისას, როგორც წესი, სწორედ დაინტერესებული ქვეყანა ეხმარებოდა. ასეთ შემთხვევაში მშვიდობის დაცვა ეფექტურ სახეს იღებს და მასში ჩადებული ფუნქციები უსაშუალო ზედმინებით ფუნქციონირებს. რა ხდება მაშინ, როცა დიდი სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნის ეროვნული ინტერესი შელახულია, ხოლო საერთაშორისო მშვიდობას რეალურად საფრთხე ემუქრება? აღნიშნულ დიდ სახელმწიფოს სიტუაციის გამოსასწორებლად პოლიტიკური ძალა ან სურვილი არ გააჩნია, ამასთან ერთად არც კეთილი ნება მისცემს უფლებას სხვას, იმოქმედოს როგორც გადაამწყვეტა ფაქტობრივად? ამ კითხვაზე გაერო ჯერჯერობით პასუხს ვერ იძლევა. მისი რეალიზაცია პოლიტიკურ რეალიზმში ძვეს და მისი შიდა სისტემა, სწორედ იმ წყობის პირშია, რომელშიც იგი 1945 წელს იშვა.

მიუხედავად აღნიშნულისა, შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ გაერო არ წარმოადგენს ძალას, რომელიც უშუალოდ ახდენს ჩარევას სამხედრო ძალის გამოყენებით. სპარსეთის ყურის ომის დროს გაეროს დროშა არც ერთ მხარეს არ ფრიალებდა. გაერო უშუალოდ არ ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებებს. როგორც რიჩარდ ლიი განიხილა აღნიშნავს, ქმედება შესაძლებელია ამგვარად განვიხილოთ - საბრძოლო მოქმედებები აშშ-ს საგარეო პოლიტიკის გავრცელება იყო, რომელიც ამ შემთხვევაში დამთხვა გაეროს-სა და სხვა ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ კურსს.

საერთაშორისო საზოგადოებამ მრავალი მექანიზმი შეიმუშავა საკუთარი კომფორტუ-

ლობის უზრუნველსაყოფად. მათგან უმთავრესი საერთაშორისო წესრიგი და საერთაშორისო სამართალია. მიუხედავად სისტემაში საკმაოდ მკვეთრად ჩამოყალიბებული დებულებების და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა, სახელწიფოთა, განსაკუთრებით ზე-სახელწიფოთა, პოლიტიკური ნება, ეროვნული ინტერესები და დიპლომატიური თუ სამხედრო შესაძლებლობები ზეგავლენას ახდენენ და ხშირად სახეს უცვლიან მათ. პოლიტიკა ხშირად სცდება სამართლიანობის ფარგლებს, და იქ, სადაც საერთაშორისო საზოგადოების მკვეთრი და დაუყოვნებლივი ქმედება აუცილებელი, იგი გაურკვეველ და ფორმალურ ფუნქციებს ასრულებს. ხშირად, საყოველთაო ინტერესები და

მათ შორის ისეთი ცნებები, როგორებიცაა საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება, მეორეხარისხოვან სახეს იღებს ცალკეულ სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესების წინაშე. ბალკანეთის კრიზისი ამის ნათელი დადასტურებაა.

თეორიას, რომ საერთაშორისო ძალისხმევას, ამ უკანასკნელის პირდაპირი მნიშვნელობით, შეუძლია ყველაზე გაურკვეველ და სისხლისმღვრელ კონფლიქტებში გადამწყვეტი როლი შეასრულოს, რეალური საფუძველი უდევს. მას პრევენდენტა სისტემა ც ამყარებს. რეალობა მაინც ერთია: სისტემა მუშაობს, თუკი მისთვის საერთაშორისო გარემოსაგან შესაბამისი პოლიტიკური პირობები უზრუნველყოფილია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაერო, დამხმარე სახელმძღვანელო. საქართველოს გაერო-ს ასოციაციისა და გაერო-ს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტის გამოცემა. 1995წ.
2. კოსოვოში კონფლიქტის მონესრიგების ზოგიერთი ასპექტები - ნარკვევი, გოჭა ლორთქიფანიძე, 1999
3. **Basic Facts About the United Nations**, UN DPI Edition, 1999
4. **Partnerships for Global Community**, Annual Report on the Work of the organization, Kofi A. Annan, UN DPI Edition 1998.
5. **Peacemaking and PEACEKEEPING for the Next Century**, Report of the 25TH Vienna Seminar, Ameen Jan, Robert C. Orr, Timothy A. Wilkins, International Peace Academy 1995
6. **“Regional Enforment Measures and the United Nations-**, Halderman, Geo L.G. 1963
7. **Resolutions of the UN Security Council and Statements by its President Concerning the Situation Between Iraq and kuwait**
8. **The Charter of the United Nations – Commentary**, Edited by Bruno Simma, Oxford University Press - 1995
9. **“The Role of regional Arrangements-** J. Moore, Law and Indochina War, 1972
10. **Utopia Lost**, The United Nations and World Order, Rosemary Righter, 1995
11. **Доклад о Работе Организации за Период с 47-ой до 48-ой сесии генеральной ассамблеи**, Б. Б. Гази - 1993 г.



გაგა გაბრიჩიძე

შესავალი

აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებელი გზების ძიებასთან კავშირში არცთუ იშვიათად გაისმის ანალოგიური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინასა და კოსოვოს კონფლიქტების შემთხვევაში იქნა გამოყენებული. აღნიშნულ საკითხში უკეთ გასარკვევად აუცილებლად მიგვაჩნია მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების განხილვა. კერძოდ, მოცემული სტატიის მიზანია ნატო-ს მიერ სერბეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების ფაქტის საერთაშორისო-სამართლებრივი კუთხით დანახვა და გაანალიზება.

1. კონფლიქტის განვიწყობის მსახვე

კოსოვო მდებარეობს სამხრეთ სერბიაში და გააჩნია შერეული მოსახლეობა, რომლის უმრავლესობას ეთნიკური აღბანელები წარმოადგენენ. 1989 წლამდე, რეგიონს გააჩნდა დიდი მოცულობის ავტონომია ყოფილი იუგოსლავიის შემადგენლობაში. 1989 წელს კი სერბეთის ლიდერმა სლობოდან მილოშევიჩმა შეცვალა რეგიონის სტატუსი, გააუქმა მისი ავტონომია და იგი ბელგრადის პირდაპირ კონტროლს დაუქვემდებარა. კოსოველი აღბანელები ავტონომიის გაუქმების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

1998 წლის განმავლობაში, სერბების სამხედრო და პოლიციის ნაწილებსა და კოსოველი აღბანელების შეიარაღებულ ნაწილებს შორის ღია კონფლიქტის შედეგად 1500-ზე მეტი კოსოველი დაიღუპა და 400 000 აღბანელები იძულებული გახდა სახლ-კარი დაეტოვებინა და გაქცეულიყო. საერთაშორისო თანამეგობრობამ შემფოთება გამოხატა კონფლიქტის ესკალაციისა და მისი სხვა ქვეყნებზე გავრცელების საშიშროების გამო. პრეზიდენტი მილოშევიჩმა უარი განაცხადა კონფლიქტის დარეგულირებაში დიპლომატიური საშუალებების გამოყენებაზე. აღბანელები იყო ასევე კოსოველი აღბანელების სამხედრო ფორმირებების - კერძოდ კი, ე.წ. კოსოვოს

განმათავისუფლებელი არმიის, როგორც დესტაბილიზაციის ფაქტორის არსებობა.

1998 წლის 28 მაისს ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე შეიკრიბა, დაადგინა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის კოსოვოს კრიზისთან დაკავშირებით ორი მთავარი მიზანი, კერძოდ:

- დახმარების აღმოჩენა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების მიზნით;
- მეზობელ ქვეყნებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა აღბანეთსა და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკას - შვეიცარიას.

1998 წლის 12 ივნისს, ჩრდილო-ატლანტიკურმა საბჭომ, რომელიც თავდაცვის მინისტრების დონეზე შეიკრიბა, განიხილა კოსოვოს კრიზისის განვითარების შემთხვევაში ნატო-ს შესაძლებელი მოქმედების საშუალებები. სხდომაზე გამოითქვა მრავალრიცხოვანი მოსაზრებები შესაძლებელი სამხედრო ოპერაციის თაობაზე.

1998 წლის 13 ოქტომბერს, სიტუაციის გაურესების შედეგად, ნატო-ს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საპაერო ძალებისათვის მოქმედების დაწყების თაობაზე ბრძანების გაცემის შესახებ. ეს ნაბიჯი გათვლილი იყო იმისათვის, რომ დიპლომატიური საშუალებებით ზენსოლის განხორციელებით იძულებული გაეხადათ პრეზიდენტი მილოშევიჩი გამოეყვანა სამხედრო ნაწილები კოსოვოდან და ეთანამშრომლა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ძალადობის დასრულებისა და ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების საქმეში. უკანასკნელ მომენტში, მოლაპარაკებების შედეგად, რომლებიც მოიცავდა ნატო-ს გენერალური მდივნის გენერალ სავერსოლანას, აშშ-ს წარმომადგენლების პოლბრუკისა და პილის, ნატო-ს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის გენერალ ნაუმანის და ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ კლარკის ვიზიტებს ბელგრადში, პრეზიდენტი მილოშევიჩი წაყენებულ პირობებს დათანხმდა და საპაერო ძალები უკან იქნა გამოწვეული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, უშიშროების საბჭომ თავის N1199 რეზოლუციით







ვასწარმოადგენს.

3. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის უფლებამოსილების საკითხები

და ბოლოს, გამოკვეთულ უნდა იქნას, შეუძლია თუ არა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს მესამე სახელმწიფოში პუმბიტარული მოსაზრებებით ინტერვენციის განხორციელება იმის გათვალისწინებით, რომ ნატო თავდაცვის მიზნით შექმნილ კავშირს წარმოადგენს. მისი ამოქმედების მიზეზი ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით ნატოს ერთ-ერთ ნევრ-სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმის ფაქტი შეიძლება გახდეს. ასეთ აგრისის კი, როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ვინაიდან ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების აღნიშნულ მუხლში მითითებულია გაეროს წესდების ნი-5 მუხლი, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ აღნიშნული ხელშეკრულება აგრისის ცნებას ისევე მოიაზრებს, როგორც ეს გაეროს წესდებით არის ნაგულისხმევი. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მე-6 მუხლი მოცემული დეფინიცია<sup>29</sup> მხოლოდ და მხოლოდ ნატოს ტერიტორიის სივრცეებზე ფარგლებს აზუსტებს. კოლექტიური თავდაცვის კლასიკური ჩარჩოები, შესაბამისად, გადალახულია.<sup>30</sup> ამგვარად, ნატოს მიერ განხორციელებული ოპერაცია ნატოს კომპეტენციას გადასცილდებოდა, რადგანაც იგი როგორც ultra vires<sup>31</sup> ქმედება საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით უკანონო იქნებოდა.

თუმცა, ერთობლივი თავდაცვა არ არის ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ერთადერთი ამოცანა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების პრეამბულის გათვალისწინებით. საქმეებსა ასევე მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ფუნქციას. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულება ამ მიზნის გათვალისწინებითაც შეიქმნა. ჩატარებული სამხედრო ოპერაცია ემსახურებოდა საერთაშორისო ხასიათის მქონედ მიჩნეული კონფლიქტის მოწესრიგებას, რაც თავის მხრივ მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას უწყობდა ხელს. ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების პრეამბულის გათვალისწინებული მიზანი საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლის შესახებ ვენის კონვენციის შესაბამისად გათვალისწინებულ უნდა იქნას ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას, კერძოდ კი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთ

ნევრზე თავდასხმის ცნების დეფინირებისას. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების დინამიური და აუთენტური ინტერპრეტაციის ჩარჩოში თავდასხმის ცნების იმგვარი გაეროება შეიძლება, რომ მასში მშვიდობისადმი ნებისმიერი საფრთხის შექმნაც შეიძლება შეყვანილი იქნას. გარდა ამისა, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მოსაზრება იმ. implied powers-ის თაობაზე, რომლის მიხედვითაც კონკრეტული, წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები შეიძლება გათვალისწინებულად იქნას მიჩნეული, თუკი სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების სრულყოფილი განხორციელება. ამდენად, სამხედრო ოპერაციებით მშვიდობის დამყარება შეიძლება გარკვეულწილად მიჩნეულ იქნას თავდაცვის ნინაპირობად ან კიდევ პირველ ტახად და implied powers-ად. ამ ინტერპრეტაციის მიხედვით, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულება მოიცავს იუგოსლავიაში განხორციელებული ინტერვენციის საფუძველს.<sup>32</sup>

უფრო სარწმუნოა, რომ ნატოს ნევრ-სახელმწიფოების შეთანხმებული მოქმედება მიჩნეულ იქნას როგორც ხელშეკრულების კონკლუდენტური ცვლილება. ანუ ამ შემთხვევაში ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს მთავარი ფუნქციის გარდა, რომელიც ალიანსის ნევრ-სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მდგომარეობს, დაემატებოდა ახალი ამოცანა. კერძოდ კი, სამხედრო ოპერაციების განხორციელება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და საერთაშორისო მშვიდობის დაცვის მიზნით, რასაც ნინაპირობად ეროვნული პარალელულების მხრიდან თანხმობის აქტის მიღება უნდა ჰქონოდა. ასეთი რამ კი ალიანსის არც ერთ ნევრ-სახელმწიფოში არ მომხდარა. ასე რომ, თუნდაც ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების დინამიური ინტერპრეტაციით გათვალისწინებულ ცვლილებად ჩავეთვალა სამხედრო ოპერაციების განხორციელება, ამ შემთხვევაშიც ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს შესაბამისი უფლებამოსილება არ გააჩნია.

იმისდა მიუხედავად თუ როგორ შეფასდება სტატიის ამ ნაწილში დასმული საკითხი, კერძოდ, გააჩნია თუ არა ნატოს მიერ განხორციელებულ ოპერაციას ჩრდილო-ატლანტიკურ ხელშეკრულებაში საფუძველი, გასათვალისწინებელია შემდეგი: აღნიშნულ ხელშეკრულებაში ალიანსის ნევრ-სახელმწიფოები აღიარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით აღებული ვალდებულებებს, კერძოდ კი ვალდებულებას უარი თქვას საერთაშორისო-სამართლებრივად უკანონო

<sup>29</sup> ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, შეარადებული თავდასხმა ერთ ან რამდენიმე ხელშეკრულ მხარეზე არის ნებისმიერი შეიარაღებული თავდასხმა ამ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთის ტერიტორიაზე ვეროპასა და ჩრდილოეთ ატლანტიკურ სივრცეებში. საერთაშორისო-სამართლებრივად დასაშვანად აღიარებულია, თუკი ერთ-ერთი ხელშეკრული მხარის საკავშირის ფუნქციონირებაზე, სახელისუფლოებზე ან თვითმფრინავებზე, თუკი ისინი ამოუხრანებელი უბრალოდ წყარო-სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან კიდევ საერთაშორისო ხელშეკრულებით საფუძველზე შესესი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.  
<sup>30</sup> C. Krefl, Die Rettungsoperation der Bundeswehr in Albanien am 14. März 1997 aus völker- und verfassungsrechtlicher Sicht, AVR 1997, 213 (217).  
<sup>31</sup> შეგვ. G. Nolte, ZaäRV 1994, 95 (109f.).

ნო ძალის გამოყენებაზე<sup>32</sup> ვინაიდან, როგორც უკვე ზემოთ იქნა ნაჩვენები, ჩატარებული ოპერაცია საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება, შესაბამისად ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ქმედება მოცემულ შემთხვევაში მის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. ამ მხრივაც, სახეზეა საერთაშორისო-სამართლებრივად უკანონო ქმედება.<sup>33</sup>

დასკვნა

მას შემდეგ, რაც შეძლებისდაგვარად დეტალურად იქნა განხილული ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიერ კოსოვოს კონფლიქტთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციის სამართლებრივი ასპექტები, ნათლად ჩანს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა აფხაზეთის კონფლიქტის ანალოგიურ ან თუნდაც ასე თუ ისე მცაგავს სიტუაციას. შესაბამისად, პარალელების გაღება ამორ კონფლიქტს შორის არასწორად მიმაჩნია.

1999 წლის 10 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ თავის N1244 რეზოლუციაში მიესალმა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ კოსოვოს კრიზისის პოლიტიკური გზით დარეგულირების პრაქტიკების აღიარებას, რაც გამოიხატება ძალადობის დასრულებასა და მის მიერ ფედერალური არმიისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების კოსოვოს რეგიონიდან დაეყოვნებლივ გაყვანაში. აღნიშნული რეზოლუციათა ასევე მიღებულ იქნა გადამწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანდატით აღექურვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნევრ-სახელმწიფოები და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები კოსოვოში საერთაშორისო თანამშრომლობის მიერ განხორციელებული ამოცანების განსახორციელებლად.

აღნიშნული ამოცანები მოიცავდნენ კოსოვოში ძალადობის და რეპრესიების დაუყოვნებლივ და კონტროლირებად დასასრულს; ნატოს არსებითი მონაწილეობით უსაფრთხოების გარანტიების შექმნას; შიდა მმართველობის ჩამოყალიბებას; ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნებას; თვითმმართველობის ჩამოყალიბების პოლიტიკური პროცესის ხელშეწყობას; კოსოვოს განმთავისუფლებელი არმიის განიარაღებას და კრიზისული რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

თუკი შევადარებთ ზემოაღნიშნულ ამოცანებს იმ ფუნქციებს, რაც აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალებს აკისრიათ, ადვილი შესაძენვეია ის დიდი სავაზოა რაც ამ ორ მისიაზე დაკისრებულ დავალებებს შორის არსებობს. აფხაზეთში სამშვიდობო ძალები ფაქტიურად მხოლოდ მხარეთა და შორიშორების ფუნქციას ასრულებს, მაშინ როდესაც კოსოვოში საერთაშორისო თანამშრომლობის მისია აღმშენებლობით საქმიანობასაც ისახავს მიზანად. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგად გახდა შესაძლებელი.

საქმე იმაშია, რომ სწორედ რომ კონფლიქტში ნატოს ჩარევამ გამოიღო შედეგად ის, რომ სერბების მხარე იძულებული გახდა ხელი მოეწერა კონფლიქტის დარეგულირების საერთაშორისო თანამშრომლობის მიერ ნაკარნახევ პირობებზე. აღუყალიბებელი მდგომარეობა კოსოვოს რეგიონში არ არის შედეგი მხოლოდ მოლაპარაკებების კონფლიქტის მხარეებს შორის. უდიდესი მნიშვნელობა აღნიშნულ პროცესში გააჩნდა ერთ-ერთი მხარის ძალისმიერი მეთოდებით იძულებას, რომლის კანონიერებაც - როგორც მოცემულ სტატიაში იქნა ნაჩვენები - ექვს იწვევს. აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში ანალოგიური შედეგის მისაღწევად საჭირო გახდებოდა რომელიმე მხარის ძალისმიერი მეთოდებით იძულებით, რისი განხორციელებისათვისაც მზადყოფნა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მხრიდან სათუოა.



<sup>32</sup> ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, „მხარეები ვალდებულია იღებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად ყველა საერთაშორისო სახის დავა, რომელსაც ისინი მხარეებს წარმოადგენენ, მანქანის მშვიდობიანად გზით, ისე რომ სიანი არ ზარდეს საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებას და სამართლიანობას და თავის საფარველ უერთიანებებოდ თავი შეიკავონ ყოველგვარი ძალის შექმნისა და გამოყენებისაგან, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიხედვით.“  
<sup>33</sup> სხვაგვარად იქნებოდა, თუკი ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციათა მიხედვით ექნებოდა შესაბამისი უფლებამოსილება. ამ შემთხვევაში, ძალის გამოყენება მარც იქნებოდა გამართლებული საერთაშორისო-სამართლებრივად თვალსაზრისით.



# საინფორმაციო გვერდი

➤ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის ფარგლებში ამა წლის 11-14 სექტემბერს ქ. ოსურგეთში არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მოეწყო ტრენინგი თემაზე:

## ინტეგრირებული ორგანიზაციის მოდელი

აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძოდ: „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“, „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“, „გურიის მთები“, „ცისარტყელა-7“, „ბაგში მსოფლიო“, „პაციენტი პლიუს“, „ასოციაცია კვი“, „გურიის მეფუტკრეთა ასოციაცია“, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“, „გურიის მომხმარებელთა კავშირი“ და „საქართველოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კავშირი“.

➤ ამა წლის 18-19 სექტემბერს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ოფისში ჩატარდა ტრენინგი თემაზე:

## კონფლიქტების მოგვარება

აღნიშნული ტრენინგი წარმართეს – „პარტნიორები დემოკრატიულ ცვლილებებში – პარტნიორები საქართველომ“ – არასამთავრობო ორგანიზაციიდან მოწვეულმა ტრენერებმა. ტრენინგის შედეგად საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წევრებმა აითვისეს კონფლიქტის მართვის ტექნიკა და ალტერნატიული გადაწყვეტის ძირითადი პრინციპები.

➤ გატყობინებთ, რომ 20-22 სექტემბერს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ოფისში გაიმართა კიდევ ერთი ტრენინგი, რომელიც ეძღვნებოდა საკითხს:

## თემის თანამონაწილეობითი მოკვლევის ტექნიკა

ტრენინგი ჩატარეს ოქსფამის ქ. ზუგდიდის რეგიონალური ოფისისა და ქ. ზუგდიდის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის წარმომადგენლებმა.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგში აქტიური მონაწილეობა მიიღეს არა მარტო სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენლებმა, არამედ ქ. თბილისის სათემო ორგანიზაციების „გლდანი“ და „თემქა ზღვისუბანის“ წევრებმა, ასევე ქ. ლაგოდეხის „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციისა“ და ქ. ოსურგეთის „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ თანამშრომლებმა.

ზემოაღნიშნულ ტრენინგზე განხილულ იქნა განვითარების კონცეფციები და თემის თანამონაწილეობითი მოკვლევის საფეხურები, ასევე მოწოდებულ იქნა ამ მიმართულებით ტრენერების ორგანიზაციების გამოცდილება.

# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პერიოდიკული მიმართულებები

არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. მისი ნევრები ცდილობენ შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრთან შექმნილია ექსპერტთა ქსელი. ექსპერტთა და ცენტრის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით განისაზღვრება პრობლემა, რომლის ანალიზის შედეგად მზადდება შესაბამისი მოხსენება ან დოკუმენტი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით დამუშავებული ინფორმაცია რეგულარულად გამოიცემა ბიულეტენების, ბროშურების, საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების სახით, რომელთა უმეტესი ნაწილი უფასოდ მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სტრუქტურებს, მსმედიისა და მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით თემატურ საჯარო განხილვებსა და სემინარებზე ვინვეთ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამგვარად, ცენტრი აქტიურად ცდილობს, გარკვეული გავლენა იქონიოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საგულისხმოა, რომ ცენტრის ძირითადი საქმიანობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისაკენ, რაც სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაში გამოიხატება. ამ მხრივ, ჩვენი საქმიანობა ვრცელდება ქ. თბილისისა, ოსურგეთისა და ლაგოდეხის რაიონებში. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ცდილობს სათემო ორგანიზაციების პოპულარიზაციას და აღნიშნული მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას.

## ცენტრის პერიოდიკული მიმართულებები:

- საზოგადოება და დემოკრატია
- გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება
- საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება
- ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა

## განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- ♣ კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- ♣ კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- ♣ საქართველოს ტერიტორიული მონაცემების შესახებ კონცეფციის შემუშავება;
- ♣ ეკონომიკური რეფორმების საქართველოში;
- ♣ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
- ♣ თვითმმართველობა საზოგადოების სამსახურში;
- ♣ შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საერთაშორისო კონფერენციის მომზადება, ქსელის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ♣ ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

## ცენტრის ღონისძიებები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ფონდი „და საზოგადოება საქართველო“.

## ცენტრის მხარდამჭერები

\* ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

\* ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

\* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

\* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

\* ცალკეული ღონისძიებების სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ღირსეული წარმოდგენილი იქნება ღონისძიებებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

### საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალტინგი (Zenith Gamma Consulting)

**მხარდამჭეროვით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე.**

**ცენტრის საფინანსოვით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.**  
ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33, ბინა 22.  
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711  
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net  
<http://www.csrdg.caucasus.net>

### ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდამჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ნემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, \_\_\_\_\_

სამუშაო ადგილი \_\_\_\_\_

თანამდებობა \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

ტელეფონი \_\_\_\_\_ ფაქსი \_\_\_\_\_

**კოლექტიური მხარდაჭერის გამოკითხვის გარკვეული**

ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდაჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

ჩვენს კომპანიას სურს სონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

გთხოვთ გამოგვიზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_

ტელეფონი \_\_\_\_\_ ფაქსი \_\_\_\_\_

საკონტაქტო პირი \_\_\_\_\_

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

8

დაიბაჭდა შ.პ.ს. „კომპიუტერში“  
მ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3